დუშეთის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი სოციალური პოლიტიკისა და მუნიციპალური სოციალური პროგრამების დაგეგმვის მიზნით მოწყვლადი სამიზნე კატეგორიების გამოსავლენი ფოკუს-ჯგუფის სამუშაო შეხვედრის

ოქმი

დუშეთი

26.06.2023

ფოკუს-ჯგუფის სამუშაო შეხვედრა ჩატარდა 2023 წლის 26 ივნისს, დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში, ქ. დუშეთი, რუსთაველის ქ. N27.

სამუშაო შეხვედრას ესწრებოდნენ ფოკუს-ჯგუფის წევრები:

თამილა ნადირაშვილი - დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსის მ/შ;

ანნა კაკალაშვილი - დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი დასაქმებისა და სოციალური დაცვის სფეროში;

მარინა კაიშაური - დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ჯანმრთელობის დაცვის სფეროში;

შორენა კბილცეცხლაშვილი - დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი დასაქმებისა და სოციალური დაცვის სფეროში;

ნონა აფციაური - დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის ბავშვთა და ოჯახის სოციალური მუშაკი;

ნინო ჭინჭარაშვილი - დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული ფსიქოლოგი;

მარიამ ავლახაშვილი - დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური მუშაკი, მდივანი - ფოკუს ჯგუფის სამუშაო შეხვედრას აფორმებს ოქმის სახით;

შორენა ხადილაშვილი - სოციალური მომსახურების სააგენტოს დუშეთის რაიონული განყოფილების უფროსი;

ნათია ლაფანაშვილი - ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის დირექტორი;

ნინო ჩხუტიაშვილი - საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების დუშეთის ფილიალის მენეჯერი;

ნინო ხეხელაშვილი - „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/ დედამიწის მეგობრების“ მცხეთა-მთიანეთის რეგიონული ოფისის ხელმძღვანელი;

მაკა დარჩია - სასწრაფო-სამედიცინო დახმარების დუშეთის ცენტრის ექიმი;

ბადრი პაპიაშვილი - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის რეგიონის სამმართველოს წარმომადგენელი დუშეთის რაიონში;

დღის წესრიგი:

დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მუნიციპალური სოციალური სერვისების დაგეგმვის მიზნით საჭიროებათა კვლევის ჩასატარებლად ფოკუს-ჯგუფის დახმარებით საკვლევი საკითხებისა და სავარაუდო სამიზნე ჯგუფების გამოვლენის შესახებ.

/მომხსენებელი: თამილა ნადირაშვილი/

მოისმინეს: თამილა ნადირაშვილის მოხსენება ფოკუს-ჯგუფის სამუშაო შეხვედრის მიზნების შესახებ. ასევე, მან ჯგუფის წევრებს გააცნო პროექტის არსი, საჭიროებათა კვლევის ძირითადი ეტაპები და მიზნობრივი (მოწყვლადი) ჯგუფების სრული ჩამონათვალი მათგან ხუთი ძირითადი საკვლევი კატეგორიის ამოსარჩევად.

აზრი გამოთქვეს: ფოკუს ჯგუფის წევრებმა იმსჯელეს თითოეული წარმოდგენილი კატეგორიის შესახებ მუნიციპალიტეტის დონეზე და საჭიროებათა კვლევის ჩასატარებლად ერთხმად აირჩიეს შემდეგი მოწყვლადი მიზნობრივი ჯგუფები:

- **შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი (ფიზიკური, ინტელექტუალური);**
  ფოკუს ჯგუფის წევრების აზრით, შშმ პირთა საჭიროებების კვლევა, დუშეთის მუნიციპალიტეტს დაეხმარება მათ საჭიროებებზე მორგებული ახალი მუნიციპალური პროგრამების შექმნასა და უკვე არსებული პროგრამების გადახალისებაში.
- **მოხუცებული პირი/ მხცოვანი მოქალაქე;**
  ფოკუს ჯგუფის აზრით, დუშეთის მუნიციპალიტეტში ერთ-ერთი ყველაზე

მოწყვლადი კატეგორია - მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული თავისებურებიდან და ტერიტორიული სიდიდიდან გამომდინარე, ასევე იქ არსებული დემოგრაფიული პრობლემიდან, ადგილობრივი მოსახლეობის ახალგაზრდა ასაკის წარმომადგენელთა მიგრაციის შედეგად მარტოდარჩენილ მოხუცებულთა სიმრავლიდან გამომდინარე - მხცოვანი მოქალაქეების კატეგორიაა. აღნიშნული მოწყვლადი ჯგუფის საჭიროებათა კვლევა და მათზე მორგებული პროგრამების შემუშავება ფოკუს-ჯგუფის აზრით ძალიან მნიშვნელოვანია.

- **ტერიტორიული/ სოციალური მოწყვეტილობის გამო სერვისებს მოკლებული პირები;**

  დუშეთის მუნიციპალიტეტის შემადგენლობაში შედის 291 დასახლება. ის ფაქტი, რომ მათგან 2 დაბა და 278 სოფელი წარმოადგენს მაღალმთიან დასახლებას, მოსახლეობის დიდ ნაწილს უჭირს ადგილობრივ სერვისებთან წვდომა, შესაბამისად, აღნიშნული კატეგორიის საჭიროებების გამოვლენა და პრობელემების მოგვარება ფოკუს ჯგუფმა პრიორიტეტულად მიიჩნია.

- **პირები მძიმე ქრონიკული დაავადებებით;**

  ფოკუს ჯგუფმა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტად მიიჩნია მოსახლეობის, განსაკუთრებით მძიმე ქრონიკული დაავადებების მქონეთა ჯანმრთელობაზე ზრუნვა. აღნიშნული კატეგორიის წარმომადგენელთა საჭიროებების გამოკვლევა, საშუალებას მისცემს მერიას შეიმუშაოს მათზე მორგებული მოკლე და გრძელვადიანი სოციალურ პროგრამები.

- **სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი ბავშვები (დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეზიდენციულ ზრუნვაში მყოფი ბავშვები, მათ შორის მაღაროსკარის, ბარისახოს და შატილის სკოლა - პანსიონებში მცხოვრები ბავშვები და მათი ოჯახები).**

  დუშეთის მუნიციპალიტეტი ერთ-ერთია იმ დარჩენილი მცირერიცხოვან მუნიციპალიტებს შორის, სადაც ჯერ კიდევ ფუნქციონირებენ სკოლა პანსიონები. სკოლა პანსიონებში ცხოვრობენ და განათლებას იღებენ რეზიდენციულ ზრუნვაში მყოფი ბავშვები, რომელთაც ჯერ კიდევ არ აქვთ ცხოვრებისეული გამოცდილება და სირთულეებთან გამკლავების უნარები. ფოკუს ჯგუფის აზრით, მუნიციპალიტეტს საჭიროებათა კვლევის ჩატარება და შესაბამისი ღონისძიებების გატარება საშუალებას მისცემს ხელი შეუწყოს ამ ბავშვებს და მათ ოჯახებს სამომავლო სოციალურ ინტეგრირებაში.

საწინააღმდეგო მოსაზრება არ გამოთქმულა.

დაადგინეს:

ფოკუს-ჯგუფმა შეარჩია შემდეგი ძირითადი მიზნობრივი (მოწყვლადი) ჯგუფები:

1) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი (ფიზიკური, ინტელექტუალური);
2) მოხუცებული პირი/ მხცოვანი მოქალაქე;
3) ტერიტორიული/ სოციალური მოწყვეტილობის გამო სერვისებს მოკლებული პირები;
4) პირები მძიმე ქრონიკული დაავადებებით;
5) სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი ბავშვები (დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეზიდენციულ ზრუნვაში მყოფი ბავშვები, მათ შორის მაღაროსკარის, ბარისახოს და შატილის სკოლა - პანსიონებში მცხოვრები ბავშვები და მათი ოჯახები).

ოქმი შედგენილია ერთ პირად.

დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსის მ/შ თამინა ნადიშვილი, ფიკუს ჯგუფის სამუშაოს შეხვედრის ხელმძღვანელი:

მარიამ ავლახაშვილი - დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური მუშაკი, ფოკუს ჯგუფის სამუშაო შეხვედრის მდივანი: